



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



ოქმი:ო65.6521259001

თარიღი:16/09/2021

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 16

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 15.09.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი: - ალექსანდრე ლილუაშვილი, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, ტარიელ ბარამიძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადგიშვილი, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიორგი ივანიძე, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, რობიზო ფუტკარაძე, ვარლამ გიორგაძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩნიკიძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **კობა მაღლაკელიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში-**ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი-**ზაზა ოჩხიკიძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭვიშვილი**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეის მოწოდების შესახებ“

მომხს: ზაზა ოჩხიკიძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის N27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხს.: მამუკა ნამიჭვიშვილი

3. „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“

მომხს: ზვიადი კაპანაძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N2-ის წინ მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს „ალმა“-სთვის (ს/კ 204873388) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 3 თვის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხს: ზვიადი კაპანაძე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეის მოწოდების შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (სრგია), რომელსაც ანხორციელებს ევროკავშირი 2021-2022 წლებში.

სრგია-ის პრიორიტეტი. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

ქვე-ღონისძიება. ტურისტებისთვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ჩვენი საპროექტო იდეაა „უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - გალაქტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლმუზეუმების ეზოების კეთილმოწყობა“.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეის მოწოდების შესახებ“

განკარგულება გ-65.212581

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭვიშიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო 11/03/2021 წლის N27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ვანის მუნიციპალიტეტის სოფლებში დაგეგმილ სამუშაოებში წარმოდგენილი ცვლილებები გათვალისწინებულია ექვსი ადმინისტრაციული ერთეულის შვიდ სოფელში, მათ შორის;

1. სოფელ შუამთაში სოფლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხიდან დაფინანსდება, როგორც აღნიშნული სკვერის რეაბილიტაციის ზოგიერთი სამუშაოები ასევე დაემატა ერთი პროექტი-მექანიზმების მომსახურების შესყიდვა მდ.ყუმურის კალაპოტში არსებული დაბნის დასამლელად.
2. სოფელ სალხინოში სტადიონის კეთილმოწყობის პროექტის ნაცვლად განხორციელდება მასალების შექმნა ამავე სტადიონის მოსაწყობად.
3. სოფელ სალხინოში მდ.სულორის გასწვრივ დამცავი მოაჯირის მოწყობის ნაცვლად მოხდება სოფლის საბავშვო ბაღის ეზოში ქვაფენილის დაგება.

4. სოფელ ზენობანში საავტომობილო გზაზე უსაფრთხოების ბაგირის მოწყობის ნაცვლად განხორციელდება შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია და პოლიეთილენის მიღების შექმნა.
5. სოფელ ამაღლებაში აჭარლების უბანში არტეზიული ჭის მოწყობის პროექტის ნაცვლად განხორციელდება ამავე უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
6. სოფელ იმერუსუთში ტუალეტის მშენებლობისათვის შექმნილი იქნება სამშენებლო მასალები.
7. სოფელ სულორში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სასმელი წყლით მომარაგებისათვის შექმნილი იქნება პოლიეთილენის მიღები.
8. სოფელ ძულუხში სოფლის ცენტრში სკვერის რეაბილიტაციის პროექტის ნაცვლად ამავე სკვერის კეთილმოწყობისათვის შექმნილი იქნება სამშენებლო მასალები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2021 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 11 მარტის N27 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

განკარგულება N გ-65.65212582

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად ვაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“ მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტთა სია და მათი საწყისი საპრივატიზებო ფასები.

ქვეპუნქტებით ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი ფასი განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 14994 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.23.092), საწყისი საპრივატიზებო საფასური 23430 (ოცდასამი ათას ოთხას ოცდაათი) ლარი;

2. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 18210 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.248), საწყისი საპრივატიზებო საფასური 21855 (ოცდაერთი ათას რვაას ორმოცდათხუთმეტი) ლარი;

3. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 76612 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.249), საწყისი საპრივატიზებო საფასური 91935 (ოთხმოცდათერთმეტი ათას ცხრაას ოცდათხუთმეტი) ლარი;

4. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედავანში მდებარე 114 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.02.22.078), საწყისი საპრივატიზებო საფასური 5010 (ხუთი ათას ათი) ლარი
5. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 178 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.01.22.195), საწყისი საპრივატიზებო საფასური 9640 (ცხრა ათას ექვსას ორმოცი) ლარი;
6. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ექსკავატორი (D.L CATEPILLAR) 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანისა და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე“

განკარგულება გ-65.65212583

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N2-ის წინ მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს „ალმა“-სთვის (ს/კ 204873388) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 3 თვის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინა საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა ეს საკითხი, მაგრამ ხელშეკრულება არ გაფორმდა შ.პ.ს „AD GEORGIA“-სთან ამ კომპანიის უარის გამო. ეხლა ეს ხელშეკრულება გაუფორმდა შ.პ.ს „ალმა“-ს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N2-ის წინ მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს „ალმა“-სთვის (ს/კ 204873388) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 3 თვის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

განკარგულება გ-65.65212584

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

